გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

20 მაისი 2024

N 2-513

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ა(ა)იპ „ასოციაცია ატუ“-ზე „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის შესახებ

2024 წლის 15 მაისს სამინისტროს ერთობლივი განცხადებით მომართა შპს „კლიმატმა“ და ა(ა)იპ „ასოციაცია ატუ“-მ და ითხოვეს შპს „კლიმატზე“ „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვით გაცემული 1,1,1,2,3,3,3 ჰეპტაფთორპროპანის (HFC-227ea) 410 კგ-ის ოდენობით იმპორტის ნებართვის ა(ა)იპ „ასოციაცია ატუ“-ზე გადაცემა.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის, შპს „კლიმატი“-სა და ა(ა)იპ „ასოციაცია ატუ“-ს 2024 წლის 15 მაისის N13371 განცხადების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს ა(ა)იპ „ასოციაცია ატუ“-ზე (საიდენტიფიკაციო კოდი: 239402491) „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვა (N000051) შემდეგი ნივთიერების იმპორტისათვის შესაბამისი ოდენობით:

- 1,1,1,2,3,3,3 ჰეპტაფთორპროპანი (HFC-227ea) – 410 კგ;

2. ნებართვა ძალაშია მისი გამოცემიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათლით;

3. ა(ა)იპ „ასოციაცია ატუ“-მ უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 აგვისტოს №286 დადგენილებით დამტკიცებული „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვის გაცემის, წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების წესისა და სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების თაობაზე ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;

4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „კლიმატს“ და ა(ა)იპ „ასოციაცია ატუ“-ს;

5. ბრძანება ძალაში შევიდეს ა(ა)იპ „ასოციაცია ატუ“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე